ხელშეკრულება
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N10.32/30/42

ქ. თბილისი,

30.04.2018 წ.

1. ხელშეკრულების მხარეები

ერთის მხრივ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საბურთალოს რაიონის გამგეობა (შემდგომში - შემსყიდველი), წარმოდგენილი გამგებლის გაიოზ ვასაძის სახით და მეორეს მხრივ შ.პ.ს. ,,გამა+" (შემდგომში - მიმწოდებელი), წარმოდგენილი დირექტორის ნიკოლოზ პეტრიაშვილის სახით, საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად და მათი გათვალისწინებით, შეთანხმდნენ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პირობებზე და სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების დადების თაობაზე.

2.ხელშეკრულების (შესყიდვის) ობიექტი, შესყიდვის საშუალება,
ხელშეკრულების ღირებულება, ხელშეკრულების ძალაში შესვლა და მოქმედების ვადა

2.1 ხელშეკრულების (შესყიდვის) ობიექტია - დიღომი-ვაშლიჯვრის საუბნო სამსახურის ოფისის სარემონტო სამუშაოების შესყიდვა, რომელიც განსაზღვრული მიმწოდებლის სამუშაოების ხარჯთაღრიცხვაში, რომელიც თან ერთვის ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.
2.2 შესყიდვის საშუალება - ელექტრონული ტენდერი აუქციონის გარეშე.
2.3 ელექტრონული ტენდერის აუქციონის გარეშე განცხადების ნომერი - NAT180004729;
2.4 ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს - 24 147 (ოცდაოთხი ათას ასორმოცდაშვიდი) ლარს, ყველა გადასახადის ჩათვლით.
2.5 კლასიფიკატორის კოდი 45400000
2.6 ხელშეკრულება ძალაში შედის გაფორმებისთანავე და ძალაშია 2018 წლის 30 ივლისის ჩათვლით.

3. სამუშაოს შესრულების პირობები, ვადა და ადგილი

3.1 სამუშაოების დასრულების ვადა - ხელშეკრულების გაფორმებიდან 2 (ორი) თვის ვადაში.
3.2 თუ კი სამუშაოების უსაფრთხო წარმოებისთვის საჭიროა შესაბამის სამსახურებთან შეთანხმებული, უსაფრთხოების სქემით სამუშაოების წარმოება, მიმწოდებელი ვალდებულია სრულად დაიცვას შეთანხმებული სქემით განსაზღვრული პერიმეტრი შესაბამისი მარეგულირებელი ნიშნებით;
3.3მიმწოდებელი ვალდებულია სამუშაოების შესრულებისას წარმოქმნილი ნარჩენები განათავსოს შესმსყიდველის მიერ მითითებულ ადგილზე - მისამართი:
3.8 მიწოდების ადგილი – ქ. თბილისის, ი.პეტრიწის ქ. N10.

4. შესრულებული სამუშაოს ხარისხი და გარანტია

4.1 შესრულებული სამუშაოს ხარისხის საგარანტიო ვადად განისაზღვროს საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 3 (სამი) წელი.
4.2 სამუშაოების დასრულების შემდეგ საგარანტიო ვადის პერიოდში რაიმე წუნის (ნაკლოვანებები, დეფექტი) აღმოჩენის შემთხვევაში, თუ დადგინდება რომ აღნიშნული წუნი (ნაკლოვანებები, დეფექტი) გამოწვეულია უხარისხო ან/და არაჯეროვანი შესრულებით, მიმწოდებელი ვალდებულია აღმოფხვრას უხარისხოდ შესრულებული სამუშაოები საკუთარი ხარჯებით.
4.3 სამუშაოს ხარისხის დაცვის უზრუნველსაყოფად მიწოდებული სამუშაოს ღირებულებიდან დაკავებული იქნება 2,5%. დაკავებული 2,5%-ის გადახდა მოხდება ხარვეზების აღმოფხვრის და საგარანტიო ვადის გასვლის შემდეგ.
4.4 მიმწოდებლის მხრიდან, არაუგვიანეს 2018 წლის 25 დეკემბრის ჩათვლით, დაკავებულ 2,5%-ზე უპირობო, გამოუთხოვადი საბანკო გარანტიის (გარანტია წარმოდგენილი უნდა იქნას საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებული საბანკო დაწესებულებიდან ან სსიპ „საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის" მიერ ლიცენზირებული სადაზღვევო კომპანიიდან, ეროვნულ ვალუტაში - ლარში.) წარმოდგენის შემთხვევაში, მიმწოდებელს ჩაერიცხება გარანტიით განსაზღვრული თანხა.
4.5 თუ მიმწოდებელი არ ასრულებს 4.2 პუნქტის მოთხოვნებს მაშინ 4.3 პუნქტით განსაზღვრული 2,5% არ ანაზღაურდება და მიმართული იქნება ბიუჯეტში, როგორც ხელშეკრულების დარღვევისთვის განკუთვნილი ჯარიმა.

4.6 თუკი ხელშეკრულების საგარანტიო პერიოდის ვადის გასვლამდე გამოვლენილი ხარვეზების შედეგად შემსყიდველს მიადგა ზარალი 2,5%-ზე მეტი ოდენობით, მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას გადაუხადოს შემსყიდველს დანარჩენი ზარალის ღირებულება ან აღმოფხვრას წუნი საკუთარი ხარჯებით.

5. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი (ინსპექტირება)

5.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს ნებისმიერ ეტაპზე ახორციელებს შემსყიდველი.
5.2 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლზე ინსპექტირებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებენ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საბურთალოს რაიონის გამგეობის თანამშრომლები, ხოლო ტექნიკურ ზედამხედველობას ა(ა)იპ თბილისის მუნიციპალური ლაბორატორია.
5.3 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებით და სხვა სამუშაო პირობებით.
5.4 იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვით შემსყიდველი.

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1 სამუშაოს ან მისი ნაწილის მიღება-ჩაბარება ხორციელდება ა(ა)იპ „თბილისის მუნიციპალური ლაბორატორიის" მიერ დადასტურებული ფორმა N2-ის საფუძველზე. ამასთან, სამუშაოების (ან მისი ნაწილის) შესრულების თარიღად ჩაითვლება „შესრულებული სამუშაოების აქტში" მითითებული თარიღი, დადასტურებული ტექნიკური ზედამხედველის მიერ.
6.2 იმ შემთხვევაში, თუ შესრულებული სამუშაო ან მისი ნაწილი არ აკმაყოფილებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, შემსყიდველი ან/და მისი უფლებამოსილი პირი აცნობებს მიმწოდებელს შემოწმების შედეგებს დაწუნებული სამუშაოს მოცულობისა და წუნდების მიზეზის მითითებით. შემსყიდველი უფლებამოსილია, საკუთარი შეხედულებისამებრ განუსაზღვროს მიმწოდებელს გონივრული ვადა, მაგრამ არაუმეტეს 7(შვიდი) კალენდარული დღისა, დაწუნებული სამუშაოს გამოსწორების მიზნით. აღნიშნული ვადის დარღვევის შემთხვევაში მიმწოდებელს დაეკისრება ხელშეკრულების 8.5 პუნქტით გათვალისწინებული პირგასამტეხლო, შემსყიდველის მიერ განსაზღვრული გონივრული ვადის ბოლო თარიღიდან ნაკლოვანების საბოლოო აღმოფხვრამდე.
6.3 იმ შემთხვევაში, როდესაც ხარჯთაღრიცხვით განსაზღვრული სამუშაოების მოცულობების ცვლილება არ იწვევს ხელშეკრულების ღირებულების გაზრდას, აღნიშნული სამუშაოების მოცულობები შესაძლებელია შეიცვალოს (დაზუსტდეს), აღმოჩენილი შესასრულებული სამუშაოების გათვალისწინებით, ხელშეკრულების 5.2 პუნქტით განსაზღვრულ პირ(ებ)თან მიღწეული წინასწარი შეთანხმების საფუძველზე, რაზეც გაფორმდება შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტი.
6.4 შემსყიდველის მხრიდან ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიღება-ჩაბარების აქტ(ებ)ის გაფორმებაზე უფლებამოსილ პირ(ებ)ს წარმოადგენენ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საბურთალოს რაიონის გამგეობის თანამშრომლები.
6.5 შესყიდვის ობიექტის (მისი ნაწილის, ეტაპის) მიღების და/ან საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი.
6.6 მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმების პარალელურად, მიმწოდებელი ვალდებულია წარმოუდგინოს შემსყიდველს შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია (მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად).

7. ანგარიშსწორება და ანგარიშსწორების ვალუტა

7.1 ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით ლარში.
7.2 ანგარიშსწორება მოხდება 2018 წ. ბიუჯეტის სახსრებით, კონკრეტულ ობიექტზე (მისამართზე) სამუშაოების სრულად დასრულების და მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.
7.3 მიმწოდებელს ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის საჯარიმო სანქციით დაკისრებული თანხა დაექვითება მიღება-ჩაბარების აქტით განსაზღვრული შესრულებული სამუშაოს ღირებულებიდან და მიმართული იქნება ბიუჯეტის ერთიან ანგარიშზე.
7.4 წინასწარი ანგარიშსწორება (ავანსი) არ გამოყენება.

8. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა
(საჯარიმო სანქციები, ფორმა, ოდენობა, და გადახდის ვადები)

8.1 ფორს-მაჟორული პირობების გარდა, ხელშეკრულების დამდები მხარეების მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის, არაჯეროვნად შესრულების ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება საჯარიმო სანქციები.
8.2 სამუშაოების დაწყების 3 (სამი) კალენდარულ დღეზე მეტი ვადით გადაცილების შემთხვევაში მიმწოდებელს დაეკისრება საჯარიმო სანქცია ხელშეკრულების ღირებულების 0,02%-ის ოდენობით.
8.3 ხელშეკრულების 3.2 პუნქტის დარღვევის შემთხვევაში, მიმწოდებელს დაეკისრება საჯარიმო სანქცია ხელშეკრულების ღირებულების 0,02%-ის ოდენობით.
8.4 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში მიმწოდებელს დაეკისრება ჯარიმის გადახდა (გარდა შესრულების ვადის და წერილობით განსაზღვრული ხარვეზის აღმოფხვრის გონივრული ვადის დარღვევისა) ყოველ ჯერზე ხელშეკრულების ღირებულების 0,02%-ის ოდენობით.
8.5 სამუშაოს დასრულების ვადის ან წერილობით განსაზღვრული ხარვეზის აღმოფხვრის გონივრული ვადის დარღვევის შემთხვევაში, მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0,02%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.
8.6 ხელშეკრულების 7.2 პუნქტის მოთხოვნის დარღვევის შემთხვევაში, შემსყიდველს დაეკისრება პირგასამტეხლო ჩასარიცხი თანხის 0,02 %-ის ოდენობით, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.
8.7 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს ხელშეკრულების მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9. ხელშეკრულების შეწყვეტა
9.1 ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებლის შემთხვევაში მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ.
9.2 მიმწოდებელი ვალდებულია შეატყობინოს შემსყიდველს ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ მიღებული გადაწყვეტილება, მისი მიღების საფუძველი და ამოქმედების თარიღი, ხოლო შემსყიდველმა აცნობოს მიმწოდებელს ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ მიღებული გადაწყვეტილება და ამოქმედების თარიღი.
9.3 ხელშეკრულების შეწყვეტისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.
9.4 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.
9.5 შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ, მათ შორის შემდეგ შემთხვევებში:
ა) მიმწოდებლის მიერ წერილობითი დავალების ჩაბარებიდან (შემსყიდველისაგან) სამუშაოების დაწყების 10(ათი) კალენდარულ დღეზე მეტი ვადით გადაცილების შემთხვევაში.
ბ) მიმწოდებლის მიერ შემსყიდველისაგან გადაცემულ კონკრეტულ ობიექტზე სამუშაოების დასრულების ვადის 10(ათი) კალენდარულ დღეზე მეტი ვადით გადაცილების შემთხვევაში.
გ) მიმწოდებლის მიერ ხარვეზების გამოსწორებაზე უარის თქმის ან არ გამოსწორების შემთხვევაში;
დ) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;
ე) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში, მათ შორის მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების ნაკისრი ვალდებულების ნებისმიერი ისეთი დარღვევის დროს, რაც შეუძლებელს ხდის ნორმალური სახელშეკრულებო ურთიერთობის გაგრძელებას, ან იწვევს შემსყიდველის ინტერესის დაკარგვას სახელშეკრულებო ურთიერთობის გაგრძელებისადმი.
9.6 ამ მუხლის მე-5 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების ღირებულება.

10. ფორს-მაჟორი
10.1 ფორსმაჟორი - სტიქიური მოვლენები, გაფიცვები, საბოტაჟი ან სხვა საწარმოო არეულობა, სამოქალაქო მღელვარება, ომი, ბლოკადა, აჯანყება, მიწისძვრა, მეწყრების ჩამოწოლა, ეპიდემია, წყალდიდობა და სხვა მსგავსი მოვლენები, რომელიც არ ექვემდებარება მხარეთა კონტროლს და რომელთა თავიდან აცილებაც მათ მიერ შეუძლებელია. ფორსმაჟორად არ ითვლება მიმწოდებლის ფინანსური მდგომარეობის გაუარესება, თუ ეს ჩამოთვლილ მოვლენებთან არ არის დაკავშირებული. ამ დროს მხარეებს შორის ხელშეკრულების შესაბამისად გადასახდელ თანხაზე ფორსმაჟორის შემთხვევაში გათვალისწინებული შეღავათები არ ვრცელდება.

10.2 ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და მიმწოდებლისათვის ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას.
10.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელნი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.
10.4 იმ შემთხვევაში თუ ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო, იცვლება ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე პირობა, აღნიშნული ცვლილება უნდა გაფორმდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების სახით.

11. უსაფრთხოება და გარემოს დაცვა

11.1 მიმწოდებელმა სამუშაოების განხორციელების განმავლობაში საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის და არსებული ნორმების შესაბამისად, უნდა მიიღოს აუცილებელი ზომები ტექნიკური უსაფრთხოების და გარემოს დაცვის უზრუნველსაყოფად.
11.2 მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს სამუშაო ადგილის ფარგლებში გარემოზე ეკოლოგიური ზემოქმედების, მუშაოებით გამოწვეული ხმაურის, ვიბრაციის და მტვრის გავლენის მინიმუმადე დაყვანა.
11.3 მიმწოდებელი საქართველოში ტექნიკური უსაფრთხოების და გარემოს დაცვასთან დაკავშირებით მოქმედი კანონების და ნორმების შესაბამისად ვალდებულია მიიღოს უსაფრთხოების აუცილებელი ზომები მშენებლობის ზონაში ხანძრის გაჩენის და აფეთქების თავიდან ასაცილებლად.
11.4 მიმწოდებელი ვალდებულია სამუშაოები შეასრულოს საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი უსაფრთხოების ნორმების დაცვით. აღნიშნულ ნორმათა დარღვევის შემთხვევაში, მიმწოდებელს ყოველ კონკრეტულ დარღვევაზე დაეკისრება შესაბამისი კანონმდებლობით გათვალისწინებული ჯარიმა.
11.5 ჯარიმის გადახდა მიმწოდებელს არ ათავისუფლებს დარღვევის აღმოფხვრისაგან.

12. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

12.1 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.
12.2 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება (მათ შორის მხარეთა შეთანხმებით ხელშეკრულების შეწყვეტა) უნდა გაფორმდეს წერილობით - მხარეთა შეთანხმების სახით და დანართის სახით უნდა დაერთოს ხელშეკრულებას. მხარეთა წერილობითი შეთანხმება ცვლილების თაობაზე, ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

13.ღირებულება

13.1 მხარეთა შეთანხმებით დასაშვებია ხელშეკრულების საერთო ღირებულების შეცვლა.
13.2 ხელშეკრულების ღირებულების პარამეტრების (ერთეულის ფასის) შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.
13.3 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობის გაზრდა.
13.4 ხელშეკრულების ღირებულების შეცვლა ფორმდება მხარეთა წერილობითი შეთანხმების სახით.

14. ურთიერთობა ხელშეკრულების დამდებ მხარეებს შორის

14.1 ნებისმიერი ოფიციალური ურთიერთობა ხელშეკრულების დამდებ მხარეებს შორის უნდა ატარებდეს წერილობით ფორმას. წერილობითი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე ხელშეკრულების შესაბამისად უგზავნის მეორე მხარეს, იგზავნება საფოსტო გზავნილის სახით. ოპერატიული კავშირის დამყარების მიზნით დასაშვებია შეტყობინების მეორე მხარისათვის მიწოდება ტელეფონის, ელექტრონული ფოსტის ან ფაქსის

გაგზავნის გზით იმ პირობით, რომ შეტყობინების ორიგინალი შემდგომში წარედგინება მეორე მხარეს უშუალოდ ან ხელშეკრულებაში მითითებულ მისამართზე საფოსტო გზავნილის გაგზავნის მეშვეობით.
14.2 ხელშეკრულებაში მონაწილე ორივე მხარე ვალდებულია, ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში საკონტაქტო პირ(ებ)ის ან ინფორმაციის ცვლილება წერილობითი სახით აცნობოს მეორე მხარეს.
14.3 შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს.

15. სადაო საკითხების გადაწყვეტა

15.1 ხელშეკრულების დამდები მხარეები თანხმდებიან მასზედ, რომ ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ მათ შორის წარმოქმნილი ნებისმიერი დავა შესაძლებელია გადაწყდეს მხარეთა შეთანხმებით.
15.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხების თაობაზე შეთანხმებას, ნებისმიერ მხრეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.
15.3 ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებული უფლებებით გათვალისწინებული ვალდებულებების დაცვა და ამ უფლებების გამოყენების პროცესში წარმოშობილი დავების მოგვარება ეკისრება მიმწოდებელს
15.4 ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით, გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისი მუხლები.
15.5ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

16. სხვა პირობები

16.1. ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი პირობები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.
16.2.ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.
16.3. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც იგი წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილი მხარეთა მიერ.

18. მხარეთა იურიდიული რეკვიზიტები

შემსყიდველი:	მიმწოდებელი:
საბურთალოს რაიონის გამგეობა	შ.პ.ს. „გამა +“
მის: მიცკევიჩის ქ. №29	მის: თიანეთი, 9 აპრილის ქ. №48, ბ. №34
ს/კოდი: 205 303 820	ს.ს. „თიბისი ბანკი“
	კოდი: TBCBGE22
	ა/ა№ GE36TB7286436050100001
	ს/კ: 432 385 590
გამგებელი	დირექტორი
გაიოზ ვახაძე	ნიკოლოზ ბეჟანაშვილი

ხელწერილი

ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

ქ. თბილისი 30 აპრილი, 2018 წელი

მე, ქვემოთ ხელისმომწერი ვადასტურებ, რომ დიღომი-ვაშლიჯვრის საუბნო სამსახურის ოფისის სარემონტო სამუშაოების შესყიდვის მიზნით გამოცხადებულ ელექტრონულ ტენდერში (განცხადების ნომერი: NAT180004729), რომელშიც შ.პ.ს. ,,გამა+"-თან" 2018 წლის 30 აპრილს გაფორმდა N1.1.13/30/42 ხელშეკრულება, ჩემი მონაწილეობა არ ეწინააღმდეგება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს 2005 წლის 20 აპრილის კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნებს და ინტერესთა კონფლიქტში არ ვიმყოფები მიმწოდებელთან.

საორგანიზაციო განყოფილების უფროსი გიორგი სვანიძე

NAT180004729 ფასების ცხრილი (საბურთალოს რაიონი)

№	სამუშაო დასახელება	განზ	რაოდენობა		ერთ. ფასი	ჯამი
			ნორმატივით ერთეულზე	სულ		
1	2	3	4	5	6	7
	სამშენებლო სამუშაოები					
1	იატაკების დემონტაჟი	მ2		76.40		0.00
	შრომის დანახარჯები	მ2	1	76.40	2.00	152.80
2	მოჭიქული ფილის დემონტაჟი	მ2		12.88		0.00
	შრომის დანახარჯები	მ2	1	12.88	3.00	38.64
3	მდფ-ის კარებების დემონტაჟი	ც		4.00		0.00
	შრომის დანახარჯები	ც	1	4.00	8.00	32.00
4	კედლის დემონტაჟი, კარისა და ფანჯრის ღიობების გახსნა	მ3		3.44		0.00
	შრომის დანახარჯები	მ3	1	3.44	12.00	41.28
5	შენობიდან სამშენებლო ნაგვის ჩამოტანა და დატვირთვა ავტომობილზე ხელით	ტ		7.00		0.00
	შრომის დანახარჯები	ტ	1	7.00	10.00	70.00
6	სამშენებლო ნაგვის გატანა 25 კმ მანძილზე	ტ		7.00		0.00
	შრომის დანახარჯები	ტ	1	7.00	22.00	154.00
7	იატაკზე ქვიშა-ცემენტის ხსნარით მოჭიმვის მოწყობა	მ2		76.40		0.00
	შრომის დანახარჯები	მ2	1	76.40	3.20	244.48
	ცემენტის ხსნარი მ150	მ3	0.05	3.82	90.00	343.80
	სხვა მასალა	ლარი		25.00	25.00	25.00
8	კედლების მოპირკეთება კერამიკული მოჭიქული ფილებით	მ2		17.70		0.00
	შრომის დანახარჯები	მ2	1	17.70	12.00	212.40
	კერამიკული მოჭიქული ფილები	მ2	1.04	18.41	16.00	294.56
	წებო-ცემენტი	კგ	5	88.50	0.30	26.55

	დეკორატიული ცემენტი	კგ	0.1	1.77	1.80	3.19
9	კერამოგრანიტის ფილებით იატაკის მოწყობა სამზარეულოში	მ2		11.20		0.00
	შრომის დანახარჯები	მ2	1	11.20	12.00	134.40
	კერამოგრანიტის ფილები	მ2	1.04	11.65	16.00	186.40
	წებო-ცემენტი	კგ	6	67.20	0.30	20.16
	დეკორატიული ცემენტი	კგ	0.1	1.12	4.30	4.82
10	კერამოგრანიტის ფილებით 7სმ პლინტუსის მოწყობა	გრ.მ		16.30		0.00
	შრომის დანახარჯები	გრ.მ	1	16.30	6.00	97.80
	კერამოგრანიტის ფილები	მ2	0.08	1.30	16.00	20.80
	წებოცემენტი	კგ	1.1	17.93	0.30	5.38
11	იატაკზე ლამინირებული პარკეტის მოწყობა	მ2		65.20		0.00
	შრომის დანახარჯები	მ2	1	65.20	4.80	312.96
	ლამინირებული პარკეტი 10 მმ-იანი, "ვრიალა", ფერი დამკვეთთან შეთანხმებით.	მ2	1.03	67.16	24.00	1611.84
	ქეჩა	მ2	1	65.20	0.30	19.56
12	პლინტუსის მოწყობა	გრ.მ		65.40		0.00
	შრომის დანახარჯები	გრ.მ	1	65.40	6.00	392.40
	პლინტუსი	გრ.მ	1.1	71.94	3.00	215.82
	სილიკონი	ც		5.00	8.00	40.00
13	იატაკზე ალუმინის გადამყვანის მოწყობა	ც		2.00		0.00
	შრომის დანახარჯები	ც	1	2.00	2.00	4.00
	ალუმინის გადამყვანი	ც		2.00	4.00	8.00
	გერმეტიკი	ც		1.00	10.00	10.00
14	თაბაშირ-მუყაოს ფილებით ტიხრების მოწყობა ლითონის კარკასზე	მ2		18.72		0.00
	შრომის დანახარჯები	მ2	1	18.72	5.00	93.60
	თაბაშირ-მუყაოს ფილები ჩვ. ლითონის კარკასით	მ2		18.72	12.00	224.64

GAMA+ LTD

	მინაბამბა	მ2		18.72	2.00	37.44
15	პერიმეტრის კედლების შეფუთვა თაბაშირ-მუყაოს ფილებით	მ2		143.70		0.00
	შრომის დანახარჯები	მ2	1	143.70	5.00	718.50
	თაბაშირ-მუყაოს ფილები ჩვეულებრივი ლითონის კარკასით	მ2	1	143.70	8.00	1149.60
16	ამსტრონგის ჭერის მოწყობა	მ2		72.00		0.00
	შრომის დანახარჯები	მ2	1	72.00	4.50	324.00
	ამსტრონგის ჭერი კარკასით	მ2	1.05	75.60	12.00	907.20
	დამხმარე მასალა	%ლ	1	1.00	10.00	10.00
17	პლასტმასის ჭერის მოწყობა სველ წერტილში	მ2		2.80		0.00
	შრომის დანახარჯები	მ2	1	2.80	4.00	11.20
	პლასტმასის ჭერი კარკასით	მ2	1	2.80	12.00	33.60
	დამხმარე მასალა	%ლ	1	1.00	10.00	10.00
18	ლითონის კარების რემონტი	ც		1.00		0.00
	შრომის ღანახარჯები	ც	1	1.00	30.00	30.00
	საკეტი	ც	1	1.00	35.00	35.00
	პნევმატური მკლავი	ც	1	1.00	25.00	25.00
19	მდფ კარების მოწყობა	ც		5.00		0.00
	შრომის დანახარჯები	ც	1	5.00	20.00	100.00
	მდფ კარი	ც	1	5.00	200.00	1000.00
20	მეტალოპლასტმასის ფანჯრის მოწყობა	კვ.მ		1.98		0.00
	შრომის დანახარჯები	კვ.მ	1	1.98	10.00	19.80
	მეტალოპლასტმასის კარ-ფანჯარა	კვ.მ	1.05	2.08	70.00	145.60
	დამხმარე მასალა	%ლ	1	1.00	10.00	10.00
21	მეტალოპლასტმასის ფანჯრის რემონტი	ც		1.00		0.00
	შრომის დანახარჯები	ც	1	1.00	10.00	10.00
	ფანჯრის საკეტი	ც	1	1.00	14.00	14.00

	დამხმარე მასალა	ლ	1	1.00	10.00	10.00
22	შესასვლელი კიბისა და პანდუსის მოწყობა	კომპ		1.00		0.00
	შრომის დანახარჯები	კომპ	1	1.00	80.00	80.00
	ბეტონი	მ3	1	3.03	60.00	181.80
	არმატურა	ტ		0.30	1800.00	540.00
	საყალიბე ფარი	მ2		16.32	7.70	125.66
	ბაზალტის ქვა	კვ.მ		9.99	36.00	359.64
	მოავჯირი	გრ.მ		6.60	5.25	34.65
	დამხმარე მასალა	ც		1.00	9.00	9.00
23	კედლების დამუშავება და შეღებვა წყლემულსიით	მ2		287.25		0.00
	შრომის დანახარჯები	მ2	1	287.25	2.00	574.50
	წყალემულსია	კგ	0.63	180.96	2.50	452.40
24	ფასადის კედლის დამუშავება და შეღებვა	მ2		30.96		0.00
	შრომის დანახარჯები	მ2	1	30.96	3.00	92.88
	წყალემულსია	კგ	0.63	19.50	3.00	58.50
25	ფანჯრის ლითონის გისოსების დემონტაჟი.	მ2		9.70		0.00
	~~შრომის დანახარჯები~~	მ2		9.70	5.00	48.50
26	ფანჯრის ლითონის გისოსების მოწყობა-მონტაჟი	მ2		13.00		0.00
	შრომის დანახარჯები	მ2		13.00	6.00	78.00
	ლითონის კუთხოვანა 50მმ	გრ/მ		33.00	4.90	161.70
	ლითონის გლინული 15მმ	გრ/მ		9.00	1.20	10.80
	პეტლი	წყვ		5.00	2.00	10.00
	ურდული	წყვ		5.00	2.00	10.00
27	ლითონის კარებებისა და გისოსების შეღებვა ზეთოვანი საღებავით	მ2		11.95		0.00
	შრომის დანახარჯები	მ2	1	11.95	1.00	11.95
	საღებავი ზეთოვანი	კგ	0.5	5.97	4.00	23.88

GAMA+

	ფითხი	ტუპ		1.00	0.40	0.40
28	სამშენებლო მასალების შეზიდვა შენობაში ხელით	ტ		20	15.00	300.00
	ელექტროობა					
1	ელ. გაყვანილობის მონტაჟი	გრ.მ		100.00		0.00
	შრომის დანახარჯები	გრ.მ	1	100.00	2.00	200.00
	ელ. სადენი 2*2.5მმ2	მ		100.00	1.20	120.00
	გამანაწილებელი კოლოფი	ც		6.00	5.00	30.00
2	ელ. გაყვანილობის ფურნიტურის მოწყობა	წერტ		31.00		0.00
	შრომის დანახარჯები	წერტ	1	31.00	3.80	117.80
	ჩამრთველი	ც		9.00	3.50	31.50
	ელ.როზეტი	ც		22.00	3.50	77.00
3	ამსტრონგის სანათი	წერტ		14.00		0.00
	შრომის დანახარჯები	წერტ	1	14.00	5.00	70.00
	სანათი 18*4 ვატი	ც		14.00	40.00	560.00
	სამონტაჟო მასალა	კომპ		1.00	8.00	8.00
4	სამზარეულოს ნიჟარა სრული კომპლექტით (კარადით, შემსყიდველთან შეთანხმებით)	ცალი		1.00		0.00
	შრომის დანახარჯები	ცალი		1.00	70.00	70.00
	ელექტრო დამაგრძელებელი (მინიმუმ სამჩამრთველიანი, 5-6 მეტრიანი)	ცალი		10.00	14.00	140.00
	წყალი და კანალიზაცია					
1	კანალიზაციის ქსელის მოწყობა	კომ		2.00		0.00
	შრომის დანახარჯები	კომ	1	2.00	17.20	34.40
	მასალები	კომ	1	2.00	17.20	34.40
2	წყალმომარაგების ქსელის მოწყობა	კომ		2.00		0.00
	შრომის დანახარჯები	კომ	1	2.00	10.00	20.00
	მასალები	ლ		2.00	10.00	20.00
3	ვენტილაციის მონტაჟი	ც		6.00		0.00

	შრომის დანახარჯები	ც	1	6.00	6.40	38.40
	ცენტრალური წყლის ვენტილი	ც		1.00	8.00	8.00
	არგო ვინტილი	ც		5.00	5.00	25.00
4	უნიტაზის მოწყობა (ჩამრეცხი ავზით)	კომ		1.00		0.00
	შრომის დანახარჯები	კომ	1	1.00	20.00	20.00
	უნიტაზი (სრული კომპლექტაციით, შემსყიდველთან შეთანხმებით)	ც		1.00	130.00	130.00
5	ხელსაბანის მოწყობა	კომ		2.00		0.00
	შრომის დანახარჯები	კომ	1	2.00	15.00	30.00
	ხელსაბანი	ც		1.00	80.00	80.00
	წყლის შემრევი	ც		1.00	30.00	30.00
6	ტრაპის მოწყობა	ცალი		1.00		0.00
	შრომის დანახარჯები	ცალი	1	1.00	10.00	10.00
	ტრაპი	ც		1.00	16.00	16.00
	გათბობა					
1	გათბობის პანელური რადიატორების მონტაჟი მილგაყვანილობის მოწყობით (6.6გრ.მ)	ც		6.00		0.00
	შრომის დანახარჯები	ც	1	6.00	15.00	90.00
	პანელური რადიატორი 600-იანი	გრ.მ		6.60	115.00	759.00
	რადიატორის შემშეები და გამშვები ვენტილი	ც	1.00	12.00	8.00	96.00
	მილი 20მმ	გრ.მ		30.00	1.50	45.00
	მილი 25მმ	გრ.მ		130.00	2.50	325.00
	ფორხიტურა	კომ		1.00	20.00	20.00
	ვენტილი	ც		2.00	5.00	10.00
	საკიდი	კომ	1.00	6.00	2.00	12.00

2	გათბობის ქვაბის მონტაჟი (24კვტ)	0		1.00		0.00
	შრომის დანახარჯები	0	1	1.00	35.90	35.90
	გათბობის ქვაბი 24 კვტ	0		1.00	1400.00	1400.00
	სულ ჯამი	ლარი				17519.87
	ზედნადები ხარჯი	8%				1401.59
	ჯამი	ლარი				18921.46
	გეგმიური დაგროვება	5%				946.07
	ჯამი	ლარი				19867.53
	გაუთვალისწინებელი ხარჯი	3%				596.03
	ჯამი	ლარი				20463.56
	დ.ღ.გ	18%				3683.44
	სულ ჯამი	ლარი				24147.00

სულ: 24 147, 00 (ოცდაოთხი ათას ას ორმოცდაშვიდი ლარი და 00 თეთრი)

შემსრულებელი: შ.პ.ს "გამა +"

დირექტორი: ნიკოლოზ პეტრიაშვილი

მის: თბილისი, 9 აპრილის ქ 48, 0134

ტელ: 579 06 99 07 ს/კ 432 385 590

GE 36 TB 7286436050100001 GEL

ელ.ფოსტა: dbezhiashvili@gmail.com

GAMA+

პრეტენდენტის ხელმოწერა: ნ.პეტრიაშვილი

1410
300
300
700
450
850
90
1170
1170
520
1180
1170
90
300
290
4730
2510
3470
800
8480
2410
3750
410
1020
950
1960
660
850
240
585
535
130
1840
1500
800
1300
900
2520
130
WS
585
5790
2380
590
1200
590

საბურთალოს რაიონის , დიდი დიღმის საუბნო სამსახურის ადმინისტრაციული კიბის საპროექტო გეგმა

მ 1:30